

**დადგენილება №57/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის/მასწავლებლის/კონცერტმასტერის შრომითი საქმიანობის ნორმირების შესახებ**

დადგენილება №57/2020, 30 ივლისი, 2020


**დადგენილება №57/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის/მასწავლებლის/კონცერტმასტერის შრომითი საქმიანობის ნორმირების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის N27 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის ყველა სპეციალობა გადავიდეს 30 კვირიან მეცადინეობაზე.
2. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 552-დან 650 საათამდე.
3. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე კონცერტმასტერების სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 700-დან 800 საათამდე.
4. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე ინდივიდუალური მეცადინეობები, სპეციალობები გადავიდეს 30 კვირიან მეცადინეობაზე.
5. დატვირთვების დათვლა განისაზღვროს 25-იანი ბიჯით.
6. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
7. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
8. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

A handwritten signature in purple ink, appearing to be 'Nana Sharikadze' in Georgian script.